ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3118559

ნომერი: AR1469183

თარიღი : 09.01.2017

გაცემის თარიღი : 24.02.2017

გაცნობის თარიღი : 20.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფირდოუსის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ღვანიძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,ლაზათი და კომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204393771

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: იბმ ,,აბანოთუბანი 2006"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204520562
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლეილა ღვანიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010001311

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2381354
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.01.2016

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის №1635999 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014 წლის N1635999 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის, ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2016 წლის 12 იანვრის N2381354 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის № 1635999 ბრძანებაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით" შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 2017 წლის 13 იანვრის ჩათვლით“

09.01.2017 წლის N AR1469183 განაცხადით სამსახურს მომართა მოქ. თეიმურაზ ღვანიძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის № 1635999 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 13 იანვრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2018 წლის 25 თებერვლის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის № 1635999 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.